



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 50

„21“ ოქტომბერი 2014 წ.

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შემდგომ - თელავის მუნიციპალიტეტი) შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი.

2. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი განისაზღვროს ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართისათვის - 1 კვადრატული მეტრი 1 (ერთი) ლარის ოდენობით, აგრეთვე ხაზობრივი ნაგებობებისათვის (რკინიგზა, წყალსადენი, გაზსადენი, ელ. გადაცემის ხაზები, ელ. კავშირი, არხები და სხვა) - 1 კვადრატული მეტრი 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

3. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.
4. მოსაკრებლის თანხა მთლიანად ჩაირიცხოს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდის

ინსტრუქცია

ეს ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მშენებლობის ნებართვა არის განსაზღვრული ფორმის მქონე დოკუმენტი, რომელიც უფლებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, განახორციელოს შენობა - ნაგებობების მშენებლობა ნებართვაში მითითებულ ვადებში.
2. მშენებლობის ნებართვა ადასტურებს მისი მიმღების უფლებას, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები ნებართვაში მითითებულ ვადებში.

მუხლი 2. მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტი

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე/მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირი.

მუხლი 3. მოსაკრებლის გადამხდელი

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადამხდელი არიან მშენებარე ობიექტების მესაკუთრე/მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირები ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებთაც სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად სჭირდებათ მშენებლობის ნებართვა.

მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

1. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია:

ა) სახელმწიფოს მიერ 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირები, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი